

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერი

**შპს „ლაქტალის ჯორჯია“
სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლაქტალის ჯორჯიას დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი

განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს შენიშვნებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
10 მაისი, 2023
თბილისი, საქართველო

განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს შენიშვნებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
10 მაისი, 2023
თბილისი, საქართველო

გ.ჩ.



შპს ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	1,421,780	116,609
აქტივის გამოყენების უფლება		22,189	33,201
არამატერიალური აქტივები		13,331	11,979
სულ გრძელვადიანი აქტივი		1,457,300	161,789
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	5	223	14,658
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	6,765,655	2,999,364
გადახდილი ავანსები		10,846	2,232
სავაჭრო მოთხოვნები		28,384,623	18,401,084
ფული და ფულის ექვივალენტები	6	32,318,160	9,872,945
სულ მიმდინარე აქტივები		67,479,506	31,290,283
სულ აქტივები		68,936,806	31,452,072
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710
გაუნაწილებელი მოგება		25,177,920	18,393,223
სულ კაპიტალი		26,136,630	19,351,933
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		23,147	33,201
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		23,147	33,201
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	41,960,942	11,068,618
გადასახდელი ხელფასები		504,808	372,582
საგადასახადო ვალდებულება		311,279	625,738
სულ მიმდინარე ვალდებულებები		42,777,028	12,066,938
სულ ვალდებულებები		42,800,175	12,100,140
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		68,936,806	31,452,072

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	1,421,780	116,609
აქტივის გამოყენების უფლება		22,189	33,201
არამატერიალური აქტივები		13,331	11,979
სულ გრძელვადიანი აქტივი		1,457,300	161,789
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	5	223	14,658
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	6,765,655	2,999,364
გადახდილი ავანსები		10,846	2,232
სავაჭრო მოთხოვნები		28,384,623	18,401,084
ფული და ფულის ექვივალენტები	6	32,318,160	9,872,945
სულ მიმდინარე აქტივები		67,479,506	31,290,283
სულ აქტივები		68,936,806	31,452,072
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710
გაუნაწილებელი მოგება		25,177,920	18,393,223
სულ კაპიტალი		26,136,630	19,351,933
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		23,147	33,201
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		23,147	33,201
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	41,960,942	11,068,618
გადასახდელი ხელფასები		504,808	372,582
საგადასახადო ვალდებულება		311,279	625,738
სულ მიმდინარე ვალდებულებები		42,777,028	12,066,938
სულ ვალდებულებები		42,800,175	12,100,140
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		68,936,806	31,452,072


გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს ლაქტალის ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	215,655,898	51,137,762
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(138,968,452)	(34,210,680)
მთლიანი მოგება		76,687,445	16,927,082
მიწოდების ხარჯი	9	(59,183,380)	(8,767,185)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(7,625,033)	(2,606,426)
საოპერაციო მოგება		9,879,032	5,553,471
არასაოპერაციო შემოსავალი		4,531,444	471,270
არასაოპერაციო ზარალი		(5,184,152)	(423,024)
მოგება-ზარალი საკუთროს სხვაობიდან		381,903	67,529
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(270,805)	115,775
		-	
მოგება დაბერგვრამდე		9,608,227	5,669,246
მოგების გადასახადი		(423,529)	-
წმინდა მოგება		9,184,697	5,669,246
		-	
სულ სრული შემოსავალი		9,184,697	5,669,246

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	215,655,898	51,137,762
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(138,968,452)	(34,210,680)
მთლიანი მოგება		76,687,445	16,927,082
მიწოდების ხარჯი	9	(59,183,380)	(8,767,185)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(7,625,033)	(2,606,426)
საოპერაციო მოგება		9,879,032	5,553,471
არასაოპერაციო შემოსავალი		4,531,444	471,270
არასაოპერაციო ზარალი		(5,184,152)	(423,024)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		381,903	67,529
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(270,805)	115,775
		-	
მოგება დაბერგვრამდე		9,608,227	5,669,246
მოგების გადასახადი		(423,529)	-
წმინდა მოგება		9,184,697	5,669,246
		-	
სულ სრული შემოსავალი		9,184,697	5,669,246

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს ლაქტალის ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (შესწორებული)	958,710	12,723,977	13,682,687
პერიოდის შედეგი	-	5,669,246	5,669,246
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (შესწორებული)	958,710	18,393,223	19,351,933
პერიოდის შედეგი		9,184,697	9,184,697
დივიდენდის გაცემა		(2,400,000)	(2,400,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	25,177,920	26,136,630

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023
 თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (შესწორებული)	958,710	12,723,977	13,682,687
პერიოდის შედეგი	-	5,669,246	5,669,246
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (შესწორებული)	958,710	18,393,223	19,351,933
პერიოდის შედეგი		9,184,697	9,184,697
დივიდენდის გაცემა		(2,400,000)	(2,400,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	25,177,920	26,136,630


 გენერალური დირექტორი
 10 მაისი, 2023
 თბილისი, საქართველო



გვერდი 8/29

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
წლის მოგება	9,608,227	5,669,246
კორექტირება:		
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(381,903)	-
ცვითის ხარჯი	423,504	61,919
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	9,649,828	5,731,165
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(9,983,539)	(10,918,085)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(3,766,290)	(75,950)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(8,614)	602
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	14,435	7,767
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(314,459)	603,931
ცვლილებები იჯარის ვალდებულებებში	(10,054)	33,201
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	32,169,669	5,234,383
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	132,226	182,120
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	27,883,202	799,134
გადახდილი მოგების გადასახადი	(423,529)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	27,459,673	799,134
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(1,730,027)	(25,209)
აქტივის გამოყენების უფლება	11,012	(52,174)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,719,015)	(77,383)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(2,400,000)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,400,000)	-
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	(895,444)	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	22,445,214	721,751
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	9,872,945	9,151,194
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	32,318,160	9,872,945

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2022	(შესწორებული) 31.12.2021
წლის მოგება	9,608,227	5,669,246
კორექტირება:		
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(381,903)	-
ცვეთის ხარჯი	423,504	61,919
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	9,649,828	5,731,165
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(9,983,539)	(10,918,085)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(3,766,290)	(75,950)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(8,614)	602
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	14,435	7,767
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(314,459)	603,931
ცვლილებები იჯარის ვალდებულებებში	(10,054)	33,201
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	32,169,669	5,234,383
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	132,226	182,120
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	27,883,202	799,134
გადახდილი მოგების გადასახადი	(423,529)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	27,459,673	799,134
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(1,730,027)	(25,209)
აქტივის გამოყენების უფლება	11,012	(52,174)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,719,015)	(77,383)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(2,400,000)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,400,000)	-
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(895,444)	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	22,445,214	721,751
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	9,872,945	9,151,194
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	32,318,160	9,872,945

გენერალური დირექტორი

10 მაისი, 2023

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებული იქნა 2011 წლის 23 მაისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404898973. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, სართული 4 , ოფისი24 . კომპანიამ მისამართი შეიცვალა და მისი ამჟამინდელი მისამართია- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ.

კომპანია ახორციელებს რძისა და რძის პროდუქტების დისტრიბუციას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ბელგიაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება B.S.A. International.

#	სახელი, გვარი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი	დაბადების ადგილი და თარიღი	სტატუსი
1	Emmanuel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 18/09/1970	მესაკუთრე
2	Jean-Michel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1968	მესაკუთრე
3	Marie Besnier Beauvalot	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1980	მესაკუთრე

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოამზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ერთი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება რადგან ისინი ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მზა პროდუქცია წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქტს

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის გადასახადებზე დეკლარაციების მომზადებას და წარდგენას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულების მეთოდით, იმ დანახარჯებით რომელიც გაწეული იყო აქტივის შესაქმნელად და მის საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს მისაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- ოფისის აღჭურვილობა - 3 წელი
- მანქანა დანადგარები - 7-10 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 3 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 3 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს თვითღირებულების ხარჯებს, რომელიც შედგება რეალიზებული საქონლის ღირებულებისგან.

პერიოდის მიწოდების ხარჯის არსებითი ნაწილი მოიცავს ამ პროდუქციის რეალიზაციაზე ხელფასის, საწვავის, იჯარის და სხვადასხვა კომერციულ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვრის დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამდიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს

შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივის შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ დადაქვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შემენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შემენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ძალაში შესული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასს-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე.

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	8,236	211,547	32,688	67,780	54,918	50,141	425,310
დამატება	-	-	5,110	-	20,099	-	25,209
(შემცირება)	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	8,236	211,547	37,798	67,780	75,017	50,141	450,519
დამატება	-	528,656	65,696	-	1,135,509	3,730	1,733,591
(შემცირება)	-	-	(1,212)	-	(24,480)	-	(25,692)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	8,236	740,203	102,282	67,780	1,186,046	53,871	2,158,419
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	4,549	138,453	23,457	52,075	25,193	35,256	278,983
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,563	9,787	8,086	3,125	17,480	2,906	42,947
(ჩამოწერა)	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	6,112	148,240	31,544	55,200	42,673	38,162	321,930
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	663	114,376	10,365	1,784	294,504	2,378	424,071
(ჩამოწერა)	-	-	(995)	-	(21,700)	-	(22,695)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	6,774	262,616	40,914	56,984	315,477	40,540	723,306
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	3,687	73,094	9,231	15,705	29,725	14,885	146,327
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	2,124	63,307	6,255	12,580	32,344	11,979	128,589
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	1,462	477,587	61,367	10,796	870,569	13,331	1,435,113

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	12/31/2022	12/31/2021
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6,670,060	2,919,465
სხვა მასალები	95,594	79,900
სულ ნედლეული და მასალები	6,765,655	2,999,364

შენიშვნა 5 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2022	(შესწორებული) 12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	29,471,787	19,629,473
მოთხოვნების რეზერვი	(1,087,163)	(1,228,389)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	28,384,623	18,401,084

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც

ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საექვო. კომპანია იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	12/31/2022	12/31/2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	23,282,086	3,074,508
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	9,006,527	6,650,612
ჯამურად ფული საბანკო ანგარიშებზე	32,288,613	9,725,120
ნაღდი ფული სალაროში	29,547	147,825
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	29,547	147,825
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	32,318,160	9,872,945

შენიშვნა 7 - სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2022	(შესწორებული) 12/31/2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,960,942	11,068,618
სულ სავაჭრო ვალდებულებები	41,960,942	11,068,618

შენიშვნა 8 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	12/31/2022	12/31/2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	215,638,005	51,137,816
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17,893	(54)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	215,655,898	51,137,762

შენიშვნა 9 - მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯები მოიცავს საანგარიშო პერიოდში პროდუქციის რეალიზაციებზე გაწეულ პირდაპირ ხარჯებს

	12/31/2022	(შესწორებული) 12/31/2021
შრომის ანაზღაურება	4,255,875	1,195,578
იჯარის ხარჯი	38,132	-
საწვავის ხარჯი	992,240	72,902
ავტომობილის-საექსპლუატაციო ხარჯი	25,246	12,706
ლოჯისტიკური მომსახურება	2,943,535	1,262,784
მარკეტინგული და კომერციული ხარჯი	15,072,817	1,350,031
ბრენდით სარგებლობის და წლიური საწევროები	302,009	26,952
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	100,809	-
სხვა მიწოდების ხარჯი	2,544,986	198,194
რეტრო-ბონუსი, რიბეითი	32,907,730	4,648,039
სულ მიწოდების ხარჯები	59,183,380	8,767,185

შენიშვნა 10 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12/31/2022	12/31/2021
შრომის ანაზღაურება (საერთო - ადმინისტრაციული)	2,997,586	317,108
ბრენდი პრეზიდენტის როიალტი	2,167,105	1,626,662
საიჯარო ქირა	24,185	24,185
კომპიუტერის ხარჯი	14,272	2,927
კომუნიკაციის ხარჯი	46,653	16,180
საკანცელარიო ხარჯი	6,340	20,723
მივლინების ხარჯები (საერთო - ადმინისტრაციული)	213,161	19,861
საგადასახადო ხარჯები	227,804	83,660
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალების ცვეთა	122,062	15,995
საკონსულტაციო ხარჯები	929,263	423,809
წარმომადგენლობითი ხარჯი	129,682	2,644
საბანკო ხარჯები	4,325	5,484
სამეურნეო ხარჯი	100,720	5,840
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯი	641,875	41,348
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,625,033	2,606,426

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია

საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვადიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	23,311,633	533,954	8,472,572
სავაჭრო მოთხოვნები	28,384,623	-	-
სულ ფინანსური აქტივები	51,696,256	533,954	8,472,572
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31,779,521	845,652	9,335,768
სულ ფინანსური ვალდებულებები	31,779,521	845,652	9,335,768

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებს დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	საწყისი ნაშთი	შესყიდული მომსახურება/საქონელი GEL	გადახდილი ფულადი სახსრები GEL	საბოლოო ნაშთი
B.S.A. (0001)	384,189	1,600,768	1,807,597	591,019
EGIDIO GALBANI S.R.L. (E. GA S.R.L.)	25,941	156,996	194,167	63,112
L.R.D.	70,859	411,586	476,416	135,689
LES DISTRIBUTEURS ASSOCIES	32,330	186,449	215,830	61,711
PARMALAT SPA	42,226	158,510	165,341	49,057
შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები	(959,264)	99,627,749	121,566,236	20,979,224
AK GIDA SANAYI VE TICARET A.S	199,127	4,013,051	4,651,108	837,183
DUKAT DAIRY INDUSTRY INC	-	2,029	2,029	
GROUPE LACTALIS	-	287	287	
LACTALIS MK OOO	1,829,948	2,432,263	2,728,702	2,126,387
LACTALIS INFORMATIQUE	30,495	32,730	140,505	138,270
LLP FOODMASTER-TRADE COMPANY	-	-	2,688	2,688
LACTALIS VOSTOK	273,498	4,489,230	4,856,098	640,366
LACTALIS INTERNATIONAL	4,099,851	31,499,183	33,573,303	6,173,970
LACTALIS PULEVA, S.L.	-	517,117	609,647	92,530
LACTALIS-UKRAINE	258,401	625,630	433,974	66,745
დებიტორი	საწყისი ნაშთი	გაყიდვა	მიღებული თანხა	საბოლოო ნაშთი
შპს სანტე კი ემ თი პროდუქტები		1,492,328	1,492,328	

საანგარიშო პერიოდში მმართველი რგოლის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 1,307,592 ლარს.

წინა პერიოდის შეცდომის გასწორება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომები. ქვემოთ მოცემულია საკითხების ჩამონათვალი.

მოხდა წინა წლის პერიოდის მოთხოვნების რეზერვზე შეცდომის გასწორება და ნაშთის 993,069ლ ოდენობით შემცირება.

წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგების ანგარიშიდან მოხდა ხარჯის ამოტრიალება და ნაშთის 124,285ლ შემცირება.

მოხდა წინა წლის პერიოდის მოთხოვნების რეზერვზე შეცდომის გასწორება და ნაშთის 868,579ლ ოდენობით შემცირება.

უკეთესი წარდგენის მიზნით მოხდა მარკეტინგული და კომერციული ხარჯების მუხლიდან რეტრო ბონუსი და რიბეითის ნაშთის ცალკე გამოყოფა 4,648,039ლ

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მის შემდგომ არ არის იდენტიფიცირებული ისეთი ტიპის

სასამართლო დავები რომელიც არსებით გავლენას იქნობიეს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. დავების არსებითი ნაწილი მოიცავს მიწოდების შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებზე აღძრულ სასამართლო დავებს, რომელიც არა არსებითი ღირებულებისაა და რომლის შედეგებიც ასახულია წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მიმდინარე წელს მოგება.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 10 მაისს. ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

**შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს მმართველობითი ანგარიშგება
(საქმიანობის მიმოხილვა)
2022 წელი**

საწარმოს დაარსების ისტორია:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“, როგორც სადისტრიბუციო ორგანიზაცია, შეიქმნა და დაიწყო თავისი ბიზნეს საქმიანობა 2011 წელს მაისში. კომპანიის საქმიანობა მოიცავს პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. დღეისთვის „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს შექმნილი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, სადაც პირდაპირი გაყიდვების გზით ხდება მზა პროდუქციის განაწილება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლაქტალის ჯგუფის მიმოხილვა

„ლაქტალის ჯგუფის“ დაარსება დათარიღებულია 1933 წელს, როდესაც ანდრე ბენიემ შექმნა საკუთარი კომპანია, Societe Laitiere de Laval A.Besnier et Cie, ლავალში, საფრანგეთში.

„ლაქტალის ჯგუფი“ არის ლიდერი რძის პროდუქტების კატეგორიაში, რეიტინგით მესამე უდიდესი რძის შემგროვებელი და მსოფლიო ლიდერი ყველის ბაზარზე. „ლაქტალის ჯგუფი“ არის მეთხუთმეტე უდიდესი აგროსასურსათო ჯგუფი მსოფლიოში, ხოლო ევროპაში მესამე ადგილი უჭირავს.

„ლაქტალის ჯგუფი“ მოიცავს ტერიტორიებს მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს და აზიას. ლაქტალის ჯგუფს აქვს 192 მწარმოებელი ქარხანა და 33 კომერციული ოფისი საფრანგეთსა და სხვა დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნებში. ლაქტალის ჯგუფში დასაქმებულია 70,000 მეტი ადამიანი, მათ შორის 45,000 საფრანგეთის ფარგლების გარეთ და ეს რიცხვები ყოველწლიურად იზრდება. ლაქტალის ჯგუფი სპეციალიზირებულია შემდეგ კატეგორიებში:

- ყველი
- ნატურალური რძე
- შეციებული რძის პროდუქტები
- კარაქი და ნაღები
- საკვები (საბავშვო, სამკურნალო და სპორტული)
- კვების სერვისი
- რძის ინგრედიენტები
- გამოყვანილი ხორცი

საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და დამფუძნებლები:

შემდეგ სქემაზე ასახულია შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს სამართლებრივი ფორმის სტრუქტურა.



წესდებით განსაზღვრული კაპიტალი:

400 000 ევრო

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სტრატეგიული მიზანია „ლაქტალის ჯგუფის“ პროდუქციის წილის გაზრდა საქართველოს ბაზარზე.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტები:

საქართველოს რძის პროდუქტების ბაზარს ძირითადად შეადგენს: სასმელი რძე, ყველი, იოგურტი, რძემყავე პროდუქტები და სხვა რძის ნაწარმი, მათ შორის ხაჭო, არაჟანი, მაწონი.

კონკურენტების მიმოხილვა

ძირითადი მოთამაშეები საქართველოს რძის ბაზარზე დღეს არიან სოფლის ნობათი და Milko ლოკალური ბრენდებიდან ,ხოლო იმპორტირებული VALIO, Danone.

ლაქტალისის ბრენდებისთვის მთავარ კონკურენტებად საქართველოს ბაზარზე მოიაზრებიან: კარაქისა და მდნარი ყველის კატეგორიაში ვალიო, ხოლო სხვა კატეგორიებში როგორიცაა ხაჭო, არაჟანი კონკურენციას 2018 წლიდან გვიწევს დანონი ბრენდი პროსტაკვაშინოთი.

2017 წელს რძის გაყიდვაში ლიდერობდა ქართული კომპანია Sante GMT ქართულ ბაზარზე 1997 წლიდან არის წარმოდგენილი და დღეისათვის 125-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. 2016 წელს ფრანგული კომპანია „ლაქტალისი“ კომპანია „სანტეს“ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. კომპანიას ეკუთვნის ოთხი ბრენდი, მათ შორის Santissimo, რომელიც სთავაზობს მაღალი ხარისხის რძის ნაწარმს და წარმოადგენს პრემიუმ ბრენდს. Sante სარგებლობს მაღალი დონის ცნობადობით ხანგრძლივი ყოფნით ადგილობრივ ბაზარზე და ახორციელებს

პროდუქტის რეგულარულ ტექნიკურ ტესტებს და შემოწმებებს, რომ შეინარჩუნოს თავისი მომხმარებლების ნდობა.

ფინური კომპანია Valio ერთ ერთი ლიდერია ყველის გაყიდვის საქართველოს ბაზარზე. კომპანიის წარმატება არის მიღწეული Valio Gouda და Viola-ს ბრენდების პოპულარობით. ამის გარდა, კომპანია სარგებლობს მაღალი ხარისხის მქონე ბრენდის სახელით და ადგილობრივი მომხმარებლის ნდობით, რადგანაც ის ქართულ ბაზარს მრავალი წლის მანძილზე და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციით.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „სოფლის ნობათი“ 2008 წელს შემოვიდა ქართულ ბაზარზე და დღემდე რძის პროდუქტების სფეროში ოპერირებს. სოფლის ნობათი 2010 წელს შეუერთდა კორპორაცია PepsiCo-ს ჯგუფს, შესაბამისად კომპანიაში დანერგილია უმაღლესი სტანდარტები, რომლებიც მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის უწყვეტად მიწოდებას უზრუნველყოფს. დღეს სოფლის ნობათი სამი მიმართულებით აწარმოებს რძის პროდუქტებს: სოფლის ნობათი, სოფლის ნობათი რჩეული და სოფლის ნობათი საბავშვო (პირველი ქართული ლიცენზირებული საბავშვო საკვები). პროდუქციის სამივე ხაზი არის უნიკალური და ამავედროულად ჯანსაღი და სასარგებლო.

2016 წელს ლაქტალისმა საქართველოში შეიძინა კომპანია სანტეს მართველობითი პაკეტი (ხოლო 2020 წლის მაისიდან გახდა 100% იანი წილის მფლობელი) რის შემდეგაც საქართველოს ბაზარზე ლაქტალისი და სანტე ოპერირებენ როგორც პარტნიორი კომპანიები.

2019 წლიდან ლაქტალის ჯორჯიამ დაიწყო საქართველოში იტალიური ბრენდი პარმალატის შემოტანა, რომელიც დღესდღეობით იკრებს ფეხს ნაღებისა და რძის ბაზარზე, როგორც უმაღლესი ხარისხის იტალიური ნაწარმი, ხოლო 2020 წლიდან რეალიზაციაში ჩაეშვა საბავშვო ბრენდის ნესქუიქის რძის პროდუქტების ხაზი.

ფილიალების აღწერა და მდებარეობა:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს ორი ფილიალი, თბილისის ფილიალი - მდებარე კახეთის გზატ. მე-10 კმ და ბათუმის ფილიალი - ბათუმის ფილიალი მოქმედებს 2013 წლიდან.

ბრენდების რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ:

ლაქტალის ჯგუფს ეკუთვნის რამდენიმე ცნობილი ბრენდი საფრანგეთში და მსოფლიოში. ლაქტალის ჯგუფის ბრენდებიდან განსაკუთრებით გამოკვეთილია President.

President-ი არის ფრანგული წარმოშობის საერთაშორისო ბრენდი რომელსაც უჭირავს უმაღლესი ხარისხის ღირებულება.

President-ის ასორტიმენტი უმეტესად მოიცავს რძის პროდუქტებს, მათ შორის: ნატურალურ რძეს, ნაღებს, კარაქს, რბილი ყველს, ხაჭოს, არაჟანს მაგარ და მდნარ ყველს.

ბრენდი President-ის რომელიც მუდმივად უმაღლესი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს და ინოვაციური ბრენდი განაწილებულია მსოფლიოს თითქმის 150 ზე მეტ ქვეყანაში.

უმეტესად საერთაშორისო ცნობილი ბრენდები;

- Galbani არის ძალიან ცნობილი იტალიური ბრენდი ევროპაში ახალი იტალიური ყველის სრული ასორტიმენტით, როგორცაა მოცარელა, რიკოტა, მასკარპონე,... ის ცნობილია იტალიაში ასეთი სახელით: „Galbani ნიშნავს ნდობას“. იტალიის ბაზარზე ლიდერი Galbani-ს პროდუქტები მრავლად არის წარმოდგენილი ევროპაში, აგრეთვე იაპონიაში, კანადაში და ბევრ სხვა ქვეყანაში.
- Parmalat - ლაქტალის გახდა მსოფლიოში №.1 რძის ბაზარზე, მას შემდეგ რაც შეიძინა Parmalat-ის 83.3%,რძის პროდუქტების ლიდერი იტალიაში. Parmalat - ის პროდუქტების კალათა შევსებულია ყველის, რძის, იოგურტის, არომატიზირებული კარაქის, მოხარშული კრემის, ნაღების და ხილის წვენებით.

სხვა მნიშვნელოვანი ლაქტალის ბრენდები არიან Societe, , Bridel, Dukat, Invernizzi, Locatelli, Cademartori, Celia, Picot.

„ლაქტალის ჯგუფის“ მიზანია გააერთიანოს ინოვაციები ტრადიციებთან. ჯგუფი აწარმოებს 36 დასახელების ყველს, რომლის სახელი დაცულია საფრანგეთში და სხვა ევროპის ქვეყნებში.

ამჟამად საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ შემდეგი ბრენდები:

- President
- Parmalat
- Galbani
- Icim
- ნესქუიქი
- და სხვა

2022 წლის მნიშვნელოვანი სიახლეებიდან გამოსარჩევია, ფოკუსი იტალიური ხორცის განვითარებაზე გალბანის ბრენდის ქვეშ, 2022 წლიდან კომპანიის სტრატეგიაა გახდეს ნომერ პირველი იტალიური ხორცისა და ყველის ბრენდი საქართველოში, ამ გზას კომპანია 2023 წელშიც აგრძელებს.

2022 წელის გამოწვევებით იყო სავსე, კომპანიამ დაკარგა უკრაინიდან იპორტირებული პროდუქციქცია როგორც მნიშვნელოვანი პორტფოლიოს ნაწილი,


შედეგად დღეს პრეზიდენტის ბრენდი აღარაა წარმოდგენილი ისეთ კატეგორიებში როგორიცაა არაჟანი და ხაჭო.

აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ;


შპს „ლაქტალის ჯორჯია“ ბუღალტრული ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებს საბუღალტრო პროგრამას 1C 8.2 საწარმო.

2021 წლის მეოთხე კვარტალში ლაქტალის ჯორჯია სრულად გახდა სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების ნაწარმოები პროდუქციის დისტრიბუტორი. აქამდე ოპერირებდა მხოლოდ ჰორეკას ქსელში და მცირე ზომის ტრადიციულ ობიექტებში.

ამონაგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:




წმინდა მოგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



წმინდა მოგების პროცენტი ამონაგებიდან 2021 წლისთვის 7,01 %, 2022 წლისთვის 4,26 %.

კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები:

გარდა ხელფასისა შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ბენეფიტებით: დაზღვევა, პროფესიონალური ტრეინინგების დაფინანსება ერთხელ წელიწადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სატელეფონო სასაუბრო ლიმიტი.

საწარმოს მომწოდებლების შესახებ:

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები ჯგუფის ქარხნებია - საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში და ა.შ.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ:

კომპანია მუშაობს პირდაპირი გაყიდვების გზით, აქედან გამომდინარე კლიენტების სიაში შედის მაღაზიები, სასტუმროები, ბარები, რესტორნები, საბითუმო გამყიდველები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე.

საწარმოს შემდგომი განვითარების გეგმები:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სამომავლო განვითარებისათვის დაგეგმილია გლობალურად წარმოებული პროდუქტების წილის ზრდა ქართულ ბაზარზე. ასევე ახალი კატეგორიების გახსნა, ათვისება და მათი განვითარება.

სავალუტო რისკები:

კომპანიას აქვს დიდი სავალუტო რისკი, რადგან ძირითადი მომწოდებლები არარეზიდენტებია და ანგარიშსწორება ხდება ევროში ან აშშ დოლარში. ყოველთვიურად ნაციონალური ვალუტის ცვლილების გამო კომპანიას აქვს ზარალი გადაფასების გამო.


სავალუტო რისკი

	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
EUR			
აქტივები	1,193,907	1,838,609	2,838,118
ვალდებულებები	1,189,164	1,852,795	3,220,039
	(4,743)	14,186	381,921
USD			
აქტივები	45,974	67,190	303,575
ვალდებულებები	25,195	64,784	330,701
	(20,779)	(2,406)	27,126
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(308,636)	67,529	381,903

საგადასახადო რისკები:

კომპანიას საგადასახადო რისკები არა აქვს.

ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



2021 წელს ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს - 8 441 553 ლარს და 2022 წელს - 14 973 145.95 ლარს.

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2019 წლის 1 იანვრიდან ერეკლე გამყრელიძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2019 წლის 11 აპრილიდან გენერალურ დირექტორად.

2020-2021 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია სამუშაო პროცესი და არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები.

2021 წლის მოგებიდან გაიცა დივიდენდი 2 400 000 ლარის ოდენობით.

2022 წელში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა კომპანია. უკრაინიდან იმპორტირებული სრული ასორტიმენტი, რომელთა შორის იყო არაჟანი, ხაჭო, ყველი და ა.შ. გაქრა ბაზრიდან, შედეგად კი ხაჭოსა და არაჟნის ბაზარზე პრეზიდენტის ბრენდი დღემდე არაა წარმოდგენილი.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ერეკლე გამყრელიძე

ფინანსური დირექტორი: ქეთევან ნადირაძე

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2019 წლის 1 იანვრიდან ერეკლე გამყრელიძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2019 წლის 11 აპრილიდან გენერალურ დირექტორად.

2020-2021 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია სამუშაო პროცესი და არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები.

2021 წლის მოგებიდან გაიცა დივიდენდი 2 400 000 ლარის ოდენობით.

2022 წელში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა კომპანია. უკრაინიდან იმპორტირებული სრული ასორტიმენტი, რომელთა შორის იყო არაჟანი, ხაჭო, ყველი და ა.შ. გაქრა ბაზრიდან, შედეგად კი ხაჭოსა და არაჟნის ბაზარზე პრეზიდენტის ბრენდი დღემდე არაა წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ერეკლე გამყრელიძე
ფინანსური დირექტორი: ქეთევან ნადირაძე

